

### Литература

1. Аракелян В., Язык и стиль переводческой армянской литературы, Ереван, 1954 (на арм. языке).
2. Ачарян Г., Армянские письма, Ереван, 1984 (на арм. языке).
3. Ачмян Шаге, Библия на армянском языке, Ереван, 2006 (на арм. языке).
4. Казар Парпеци, История Армении, Ереван, 1982 (на арм. языке).
5. Корюн, Житие Маштоца, Ереван, 1994 (на арм. языке).
6. Мовсес Хоренаци, История Армении, Ереван, 1980 (на арм. языке).
7. Нерсесян Нерсес, Библия и армянская культура, 2001 (на арм. языке).
8. Павстос Бюзанд, История Армении, Ереван, 1968 (на арм. языке).
9. Хюбшман Г., Грамматика армянского языка, Ереван, 2003 (на арм. языке).

**Parandzem Meytikhanyan**

### **Armenian Translation of Holy Bible and the Role of Mesrop Mashtots**

#### **Abstract**

Alongside with the creation of Armenian script, still being in Samosat, Mesrop Mashtots and two of his descendents initiated the written translation of the Holy Bible: it started with the Book of Gospels, then included 22 books of the Old Testament, as well as partially touched upon some parts of the New Testament. On returning to his motherland Mashtots presented the Armenian alphabet to Sahak and to his first descendents and trusted them the continuation of, by no means, yet, unfinished translation of the Bible. This work was carried out in 409-410, and since then in Armenian philology came forth the definition of *Rapid translation*, which describes the first translation of the Holy Script. But, however, to our mind, it was the second variant of the translation. After 433 the translation of the Holy Script was accomplished and is ultimately called *Golden Sahak-Mestropian original*.

პარანძემ (ან პარანჯემ) მეიტიკანიანი  
მესროპ მაშტოცის ნაწერების შესახებ

#### რეზიუმე

სომხური დამწერლობის შექმნასთან ერთად, ჯერ კიდევ სამოსატში, მესროპ მაშტოცმა და მისმა ორმა მოწაფემ საფუძველი ჩაუყარეს საღმრთო წერილის წერილობით თარგმანს, დაწყებული იგავების წიგნიდან, შემდეგ კი ძველი აღთქმის 22 წიგნისა და ნაწილობრივ ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის ჩათვლით. სამშობლოში დაბრუნებულმა მაშტოცმა წარუდგინა სააკს და თავის პირველ მოწაფეებს სომხური ანბანი და ანდო მათ ბიბლიის თარგმანის (რომელიც, უდავოდ, ჯერ არ იყო სრულყოფილი) შემდგომი შევსება. ეს სამუშაო შესრულდა 409-410 წლებში, და ამ დროიდან სომხურ ფილოლოგიაში წარმოიშვა გამოთქმა სწრაფი თარგმანი, ამ სახელწოდებით ცნობილია საღმრთო წერილის პირველი თარგმანი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს იყო თარგმანის უკვე მეორე ვარიანტი. 433 წლის შემდეგ მთლიანად დასრულდა საღმრთო წერილის თარგმანი, რომელსაც ახლა ეწოდება ოქროს სააკ-მესროპის ორიგინალი.

რეცენზენტი: პროფესორი ნ. კვირიკაძე

## ეროვნულობისა და უნივერსალობის პრობლემა ფრაზეოლოგიაში

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია უნივერსალობის გამოყენების საშუალებები, უნივერსალობის არსებობამ ფრაზეოლოგიაში არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დასვას მისი ეროვნული ხასიათი, რომელიც ვლინდება ენის ყველა ასპექტში, როგორცაა: ფონეტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ლექსიკური და სემანტიკური ენის ფრაზეოლოგიური სისტემა სავსეა რეალიებით, განპირობებული ამა თუ იმ ერის კულტურითა და ისტორიით, მასში გამოიხატება ენის ეროვნული ხასიათი. ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია გამოვეყნოთ ყველა სახის ეროვნულობა.

ენისა და საზოგადოების კავშირი განპირობებულია მისი ორგანულობით, მუდმივობით და განსაზღვრულია ენობრივი თავისებურებებით, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული ელემენტების წარმოშობას ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვევლინება ეროვნულობისა და უნივერსალობის დადგენა არა მარტო შეპირისპირებით ტიპოლოგიურ გამოკვლევაში, არამედ ფრაზეოლოგიაშიც. უნივერსალობის გამოყოფა საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ფსიქოლოგიური კანონზომიერებები და დავადგინოთ ენის ქცევა.

უნივერსალობის შესწავლა სათავეს იღებს უძველესი დროიდან და დაკავშირებულია უნივერსალური გრამატიკის სწავლებასთან. მე-18 საუკუნეში ამ შესწავლამ ძალიან ფართო გავრცელება ჰპოვა, მაგრამ უმთავრესი ყურადღება მოცემული მიმართულების მიმდევრებისა მიქცეულ იქნა უნივერსალურზე და არა სპეციფიკურზე. მე-20 საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ენობრივი უნივერსალობისადმი, რომელიც იდგა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ზოგად ენათმეცნიერებაში.

უნივერსალობის პრობლემა ფონოლოგიასა და სინტაქსში საკმაოდ ფართოდ აქვთ შესწავლილი მეცნიერებს, ხოლო ლექსიკა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცნობიერებასთან და გამოხატავს ხალხის ყოფას, სადაც ვლინდება თვით ენა, დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ყურადღების მიღმა მკვლევრებისათვის, მაგრამ ამ პრობლემას მიექცა უდიდესი ყურადღება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სემანტიკური უნივერსალობის ცნება. და გამოიყო ლექსიკური კონსტანტები.

უნივერსალურობისა და ეროვნულობის პრობლემამ ფრაზეოლოგიაში აქამდე ვერ ჰპოვა სათანადო გამოხატულება ლინგვისტურ კვლევებში. თავად ფაქტია ის, რომ ფრაზეოლოგიზაცია, როგორც მოვლენა, მატარებელი ყველა ენისათვის, მიუთითებს ფრაზეოლოგიის უნივერსალურობაზე, ხოლო თავის მხრივ, სომატური ფრაზეოლოგია, რა თქმა უნდა, გვეკვლინება უნივერსალურ კატეგორიად. მრავალი მკვლევარის აზრით, სომატური ფრაზეოლოგია არა მარტო ყველა ენაში არსებობს, არამედ მნიშვნელოვნად დიდი როლი უჭირავს ფრაზეოლოგიურ ფონდში.<sup>1</sup> (acof A. 2003).

ენის ფრაზეოლოგიური სისტემა სავსეა რეალიებით, განპირობებული ამა თუ იმ ერის კულტურითა და ისტორიით, რის საშუალებით გამოიხატება ენის ეროვნული ხასიათი. ფრაზეოლოგიური ერთეულების სპეციფიკის შესასწავლად აუცილებელია გამოვეყოთ ყველა სახის ეროვნულობა ფრაზეოლოგიაში (გ. ლებანიძე, 2004).

**ფრაზეოლოგიის** სპეციფიკურობა უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ფონეტიკურ დონეზე, რამდენადაც ფრაზეოლოგიური ერთეული შედგება მთელი რიგი ბგერებისაგან, რაც დამახასიათებელია მოცემული ენის ფონეტიკური სისტემისთვის.

**ფრაზეოლოგიზმის** სპეციფიკურობა გრამატიკულ დონეზე გამოიხატება იმაში, რომ სიტყვები, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტები, შეიცავენ მახასიათებლებს მოცემული ენის მორფოლოგიური კატეგორიის მეტყველების ნაწილებისთვის და აგრეთვე, ექვემდებარებიან სინტაქსის კანონებს.

სპეციფიკურობა ლექსიკურ დონეზე, გამოიხატება იმაში, რომ ეროვნული რეალიები ხშირად აისახება მოცემული ენის სიტყვებში.

თითოეული ენის ფრაზეოლოგიას არაენობრივი მახასიათებლების გამოხატვის თავისი საკუთარი საშუალებები გააჩნია ენობრივ ფორმაში. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები, სრულიად მსგავსებს შინაგანი ფორმით, გააჩნიათ სხვადასხვა მნიშვნელობა.

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ზემოთ ხსენებული დონეები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მსგავსება და განსხვავება განპირობებულია ენების განვითარების საერთო და სპეციფიკური პირობით, რომელიც თავის მხრივ, ენის ფრაზეოლოგიურ ფონდზეც აისახება.

ფრაზეოლოგიზმების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური და აგრეთვე ეთნოლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც თავისებურად განსაზღვრავენ ეროვნულ ხასიათს. ა. მეიე აღნიშნავს, რომ ენის სრულყოფილად გაგება შესაძლებელია მხოლოდ მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებით.

იმისათვის რომ, თვალსაჩინო გახდეს ეროვნულობა ენის სხვადასხვა დონეზე, განსაკუთრებით ლექსიკაში და ფრაზეოლოგიაში, აუცილებელია, რაც შეიძლება ღრმად ჩავიხედოთ ხალხის ეროვნულ კულტურაში. ენაში სრულყოფილად და ადეკვატურად აისახება ერის კულტურის განვითარება. ორი სხვადასხვა ხალხის კულტურისა და ენის ურთიერთშეპირისპირებისას ვერასოდეს აღმოვაჩინოთ სრულიად ერთი და იგივე შემთხვევებს, თუმცა შესაძლოა წავაწყდეთ ნაწილობრივ დამთხვევებს, ხოლო განსხვავება ეროვნული ელემენტებისა თითოეული ენისათვის ძალიან თავისებურია.

ენისა და საზოგადოების კავშირი განპირობებულია მისი ორგანულობით, მუდმივობით და განსაზღვრული ენობრივი თავისებურებებით. მიზნად ვისახავთ აღმოვაჩინოთ ამ ორი ენის

<sup>1</sup> ეროვნულობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ენობრივი ერთეულების ელემენტებს, რომლებიც გამოხატავენ არაენობრივ ფაქტებს, დამახასიათებელს ხალხის კულტურისათვის, რომელიც მოცემული ენის მატარებელია

მასხასიათებელი. კულტურაში მსავსებით და განსხვავებით ფრაზეოლოგიური ელემენტების შექმნაში.

უდავოა, რომ ენა წარმოადგენს საზოგადოების განვითარების პროდუქტს და გვიჩვენებს ხალხის კულტურის ხარისხს. ზუსტად იგივეთი განისაზღვრება ადამიანის ენის სოციალური ბუნება.

ამგვარად, ფრაზეოლოგიის უმთავრეს წყაროდ გვევლინება თავისუფალი სიტყვათშეთანხმება რომლებიც თავისთავად საზოგადოებრივი მოვლენების, ჩვევების და ა.შ. მატარებლები არიან და ხელს უწყობს ეროვნული ელემენტების წარმოჩინებას ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

#### ლიტერატურა:

1. ლებანიძე გ. კულტუროლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2004.
2. Белл Г.П. Социоллингвистика (Целы, Методы и Проблемы) Москва, 1980.
3. Arnold I.V. The English Word. High School, 1986.
4. Lacof A. Cognitive Grammar, 2003.
5. Lavinson S.C. Linguistics, 1979.

**Ирма Русадзе**

#### **Проблема национального и универсального во фразеологии**

##### Резюме

В представленной статье рассматриваются способы употребления универсалов, которые позволяют выявить психологические закономерности и установить языковое поведение.

Существование универсалий во фразеологии не может поставить под сомнение ее национальный характер, который проявляется на всех уровнях языка - фонетическом, грамматическом (морфологическом и синтаксическом), лексическом и семантическом. фразеологическая система языка насыщена реалиями, присущими тому или иному народу и передает его национальный характер. Для того, чтобы уловить отражение национального в разных уровнях языка, особенно в лексике и фразеологии, необходимо как можно глубже проникнуть в национальную культуру народа, почителя анного языка.

Связь языка и общества представляется органической, постоянной и пределенной языковыми особенностями, что со своей стороны обуславливает проникновение национального элемента во фразеологическую систему языка.

**Irma Rusadze**

#### **Problems of National language elements and universals in Phrazeology**

##### Abstract

This paper deals with the discussion of the usage of universals which help us to reveal pshycological features and language behaviour.

The existance of universals in phrazeology show us its national character, which is revealed in any aspect of the language, such as: Phonetic, grammar (morphological and syntax), lexical and sematic. The phrazeological system of the language is full of different features conditioned by the culture and history of any nation, by which